განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია სკოლის დირექტორების შერჩევის წესის (ე.წ. ლოტოტრონის) შეცვლასთან დაკავშირებით, დირექტორის ვაკანსიაზე წარსადგენი კანდიდატურების რაოდენობის შეზღუდვის მოხსნის შესაძლებლობა; რუსეთის ოკუპაციის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემა; საჯარო სკოლაში შრომითი დავების განიხილვის გართულებული პროცედურა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

პროექტი ითვალისწინებს სკოლის დირექტორების ვაკანსიაზე წარსადგენი კანდიდატურების რაოდენობის შეზღუდვის მოხსნას; რუსეთის ოკუპაციის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესს; საჯარო სკოლის პედაგოგებისათვის შრომითი დავების განიხილვის გამარტივებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსზე შეუზღუდავი რაოდენობის კანდიდატურის წარდგენის შესაძლებლობას; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარებას ხაქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით; საჯარო სკოლის შრომითი დავების სასამართლო განიხილვას საქართველოს შრომის კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პრთათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტს არ ექნება გავლენა საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ექსპერტების დასკვნები არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორებია საქართველოს პარლამენტის წევრები ხათუნა ოჩიაური და ჩიორა თაქთაქიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ხათუნა ოჩიაური და ჩიორა თაქთაქიშვილი.